საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1809 2023 წლის 13 ოქტომბერი ქ. თბილისი

2023 წლის 2 და 17 სექტემბერს კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. 2023 წლის 2 და 17 სექტემბერს კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე, რომლებსაც სრულად გაუნადგურდათ მოსავალი და „2023 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 ივნისის №1156 განკარგულების ფარგლებში გადამამუშავებელ საწარმოში არ ჩაუბარებიათ ყურძენი, გაიცეს ერთჯერადი დახმარება, დაზიანებული ვენახის ყოველ ერთ ჰექტარზე 3500 ლარის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 35 000 ლარისა „ვენახების ერთიანი კადასტრის შექმნისა და ორგანიზების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 18 აგვისტოს №2-670 ბრძანების შესაბამისად შექმნილ „ვენახების ერთიან კადასტრში“ (შემდგომში – ვენახების ერთიანი კადასტრი) რეგისტრირებულ ერთ ფიზიკურ პირზე.

2. 2023 წლის 2 და 17 სექტემბერს კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებულ იმ ფიზიკურ პირს, რომელსაც „2023 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 19 ივნისის №1156 განკარგულების ფარგლებში გადამამუშავებელ საწარმოში 2023 წლის 15 ოქტომბრამდე ჩაბარებულ დასეტყვილ ყურძენში მიღებული/მისაღები აქვს ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით არა უმეტეს 3500 ლარისა, ერთჯერადი დახმარების ოდენობა განესაზღვრება ერთ ჰექტარზე 3500 ლარსა და ყურძნის ჩაბარებიდან მიღებულ/მისაღებ ანაზღაურებას შორის სხვაობით. ვენახების ერთიან კადასტრში რეგისტრირებულ ერთ ფიზიკურ პირზე 2023 წლის 15 ოქტომბრამდე ჩაბარებული ყურძნისთვის მისაღები/მიღებული თანხისა და ერთჯერადი დახმარების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 35 000 ლარს.

3. ფიზიკურ პირს სეტყვით დაზიანებული ვენახ(ებ)ი რეგისტრირებული უნდა ჰქონდეს ვენახების ერთიან კადასტრში.

4. კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე ერთჯერადი დახმარების თანხის გაცემას უზრუნველყოფს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

5. კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებულმა მოსახლეობამ ერთჯერადი დახმარების მიღების მიზნით უნდა მიმართოს სააგენტოს და წარუდგინოს განაცხადი, რომელიც აუცილებელი წესით უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ვენახ(ებ)ის დაზიანების შესახებ, ვენახ(ებ)ის კოდს (ვენახების ერთიანი კადასტრიდან), ფიზიკური პირის სახელს, გვარს, პირად ნომერს და საკონტაქტო ინფორმაციას.

6. კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ეთხოვოთ მუნიციპალიტეტების მერიებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პროცესის ორგანიზაციული მხარდაჭერა, სააგენტოს თანამშრომლების სამუშაო სივრცით უზრუნველყოფა და განაცხადში

დაფიქსირებული ვენახების დაზიანების ფაქტის ხელმოწერით დადასტურება.

7. ერთჯერადი დახმარების გაცემის მიზნით, სააგენტო კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისაგან განაცხადით მიღებულ ინფორმაციას მიაწვდის სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისობის დასადგენად.

8. კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზიანებულ მიწის ნაკვეთის იმ ფართობზე, რომელზეც 2023 წლის ვაზის მოსავალი მოსახლეობას დაზღვეული აქვს „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილებით დამტკიცებული „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში, არ გაიცემა ამ განკარგულებით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.

9. გასაცემი ერთჯერადი დახმარების დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით დამტკიცებული ქვეპროგრამიდან – „რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი: 31 03 05).

10. „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სააგენტოზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, ამ განკარგულების ფარგლებში, კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე ერთჯერადი დახმარების გაცემის მიზნით, 2024 წლის 1 იანვრამდე, არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განსაზღვროს არა უმეტეს 18 ერთეულით და დაფინანსდეს ქვეპროგრამიდან – „რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი: 31 03 05).

11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს დაევალოს, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, სააგენტოს მისცეს

უფლება სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნას ან/და ისარგებლოს უკვე გახსნილი საბანკო ანგარიშით/ანგარიშებით.

12. ერთჯერადი დახმარების გაცემის პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი